საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

შემოწმების აქტი №002750/შ

შედგენის თარიღი: 25 მარტი, 2022 წ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის", ,,შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის, „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილების შესაბამისად, კერძოდ, 2021 წლის 10 ნოემბრის №002750 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და მასზე თანდართული №002750/ო მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, შრომითი უფლებების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახური ამოწმებს გაცემული მითითებების შესრულების ფაქტს, რისთვისაც შრომით უფლებებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, (უფროსი შრომის ინსპექტორი) [redacted] და უფროსი სპეციალისტის, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (შრომის ინსპექტორი) [redacted] მიერ, 2022 წლის 26 იანვარს განხორციელდა შემდეგი ორგანიზაციის განმეორებითი ინსპექტირება:

ორგანიზაციის დასახელება: შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა";
საიდენტიფიკაციო ნომერი: 211385767;
დირექტორი: გიორგი ინგოროყვა;
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წინანდლის ქ. N9;
შემოწმებული ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, წინანდლის ქ. N9;

შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის" მიმართ 2021 წლის 10 ნოემბერს, გაიცა №002750 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და №002750/ო მითითება, რომლის თანახმად, მას მითითების გამოსასწორებლად განესაზღვრა 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა.

2021 წლის 10 ნოემბრის №002750 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და მასზე თანდართული 2021 წლის 10 ნოემბრის №002750/ო მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორების საკითხის შესწავლის შედეგები შემდეგნაირია:

№	გაცემული მითითება	შედეგი
1.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი** „სამუშაო დრო და დასვენების დრო“.	**მითითება შესრულდა;**
2.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსი” მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი** „თანამდებობა (არსებობის შემთხვევაში მიეთითება რანგი, თანრიგი, კატეგორია და სხვა) და შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა“.	**მითითება შესრულდა;**
3.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის” მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი** „ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი“.	**მითითება შესრულდა;**
4.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსის” 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი** „ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება შრომის ანაზღაურების საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ზეგანაკვეთური სამუშაო უნდა ანაზღაურდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემდეგ გადასახდელ ყოველთვიურ შრომის ანაზღაურებასთან ერთად“.	**მითითება შესრულდა;**
5.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი და 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი**	**მითითება შესრულდა;**

	„სამუშაო დღეებს/ცვლებს შორის დასაქმებულის უწყვეტი დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები“. „მიმდევრობით ორ ცვლაში მუშაობა აკრძალულია“.	
6.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-11 პუნქტი** „დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის დოკუმენტი შეინახოს 1 წლის განმავლობაში. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმას განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (შემდგომ – მინისტრი) სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ“.	**მითითება შესრულდა;**
7.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსის“ 41-ე მუხლის პირველი პუნქტი** „შრომის ანაზღაურება არის ძირითადი ან მინიმალური ანაზღაურება ან ხელფასი ან ნებისმიერი სხვა ანაზღაურება, რომელიც გადახდილია ფულადი ფორმით ან ნატურით და რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ იღებს დასაქმებული დამსაქმებლისგან სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ.“	**მითითება შესრულდა.**

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი):

_____

_____

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ შემოწმების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა:

ახსნა-განმარტება შემოწმების აქტთან დაკავშირებით:

უფლებამოსილი პირ(ები)ი:

[redacted]

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი: